მომსახურებისა და საქონლის შესყიდვის ხელშეკრულება

ხელშეკრულების ძირითადი პირობები

ხელშეკრულების გაფორმების თარიღი:	[დღე] [თვე] 2021 წელი
ხელშეკრულების მხარეები:	
RWC:	შპს „რუსთავის წყალი “ (შემდგომში „RWC“)
RWC-ის საიდენტიფიკაციო ნომერი:	216323351
RWC-ის წარმომადგენელი:	ირაკლი ბაბუხადია
თანამდებობა:	გენერალური დირექტორი
კომპანია:	[კომპანიის სახელწოდება ან ფიზიკური პირის სახელი და გვარი] (შემდგომში „**კომპანია**“)
„კომპანიის“ საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:	[-]
„კომპანიის“ წარმომადგენელი:	[სახელი და გვარი]
თანამდებობა:	[თანამდებობა]

1. „ხელშეკრულების“ საგანი

1.1 „კომპანია“ კისრულობს ვალდებულებას, თავისი კომპეტენციის და კვალიფიკაციის ფარგლებში, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ RWC-ის გაუწიოს [-] (შემდგომში „**მომსახურება**“),

1.2 „მომსახურების“ გაწევის ზოგადი და სპეციალური პირობები მოცემულია დანართში N1.

2. „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე „ხელშეკრულებით“ შეთანხმებული „მომსახურება“ „კომპანიამ“ RWC-ის უნდა გაუწიოს წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერიდან [--] თვის განმავლობაში.

3. „ნასყიდობის ფასი“ და ანგარიშსწორება

3.1. წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე გასაწევი „მომსახურების“ „ნასყიდობის ფასი“ შეადგენს [-] ლარს.

3.2 „ნასყიდობის ფასის“ გადახდა განხორციელდება „კომპანიის“ შემდეგ საბანაკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით:

ბანკის დასახელება: [-]

ბანკის კოდი: [-]

მიმღების დასახელება: [-]

მიმღების ანგარიშის ნომერი: [-]

4. „ხელშეკრულების“ დანართები

4.1 წინამდებარე „ხელშეკრულებას“ გააჩნია ქვემოთ ჩამოთვლილი დანართები და თითოეული მათგანი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს:

დანართი N1 – „ხელშეკრულების“ სტანდარტული პირობები

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად, „მხარეებმა“ ხელი მოაწერეს წინამდებარე „ხელშეკრულებას“ ზემოთ პირველად მითითებულ თარიღზე.

RWC	**„კომპანია“**
შპს „რუსთავის წყალი“	[-]
_____	_____
ირაკლი ბაბუხადია	[-]
გენერალური დირექტორი	[-]

ნასყიდობის ხელშეკრულება
ხელშეკრულების ზოგადი პირობები
დანართი N1

1. ტერმინთა განმარტება

1.1 **RWC** - შპს „რუსთავის წყალი“, საიდენტიფიკაციო ნომერი 216323351;

1.2 **„კომპანია“** – „ხელშეკრულებაში“ ან ხელშეკრულების ძირითად პირობებში მოცემული პირი;

1.3 **„მხარეები“** - „კომპანია“ და „RWC“ ერთობლივად;

1.4 **„მხარე“** - „კომპანია“ და „RWC“ ცალ-ცალკე;

1.5 **„ხელშეკრულების ძირითადი პირობები“** – „მხარეთა“ შორის წერილობით გაფორმებული ხელშეკრულება, რომელშიც განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, ნასყიდობის ფასი, მიწოდების ვადა, საგარანტიო პერიოდი და ნებისმიერი სხვა პირობა, რომელიც შესაძლოა აზუსტებდეს ავსებდეს ან ცვლიდეს წინამდებარე „ხელშეკრულების ზოგადი პირობების“ დებულებას.

1.6 **„ხელშეკრულების ზოგადი პირობები“** – წინამდებარე ხელშეკრულების ზოგადი პირობები;

1.7 **„ხელშეკრულება“** – „მხარეთა“ შორის „ხელშეკრულების“ საგანთან დაკავშირებით წერილობითი ფორმით (მათ შორის ინვოისის საფუძველზე) დადებული ნებისმიერი წერილობითი შეთანხმება;

1.8 **„საქონელი“** – „ხელშეკრულებით“ ან „ხელშეკრულების ძირითად პირობებში“ მოცემული საქონელი;

1.9 **„მომსახურება“** – „ხელშეკრულებით“ ან „ხელშეკრულების ძირითადი პირობებით“ გათვალისწინებული მომსახურება რომელიც, „კომპანიის“ მიერ მოწოდებული „საქონლის“ თანმდევი ან/და დაკავშირებული მომსახურებაა;

1.10 **„ნასყიდობის ფასი“** – „ხელშეკრულებით“ ან „ხელშეკრულების ძირითადი პირობებით“ გათვალისწინებული ან/და „მომსახურების“ მიწოდების სანაცვლოდ „მხარეთა“ შორის ნებისმიერი სხვა ფორმით შეთანხმებული ანაზღაურება.

1.11 **„საშემსრულებლო დოკუმენტები“** - ნებისმიერი დოკუმენტი ან/დოკუმენტები, რომელიც მოთხოვნილია RWC-ის მიერ „მომსახურების“ ან/და საქონლის მიწოდების დასადასტურებლად ან/და ანგარიშსწორებისთვის.

1.12 **„სამუშაო დღე“** - ნებისმიერი დღე ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით, გარდა საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე და დასვენების დღეებისა.

2. ხელშეკრულების ზოგადი პირობები

2.1 „ხელშეკრულების ზოგადი პირობების დებულებებსა“ და „ხელშეკრულების ძირითადი პირობების“ დებულებებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება „ხელშეკრულების ძირითად პირობებს“.

2.2 „ხელშეკრულების ზოგად პირობებში“, „ხელშეკრულების ძირითად პირობებში“ ან „ხელშეკრულების“ ნებისმიერ სხვა დანართში ან/და დამატებაში მოცემული პირობები თანაბრად ვრცელდება როგორც „საქონლის“, ასევე „მომსახურების“ მიწოდებაზე, კონტექსტის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, არის თუ არა შესაბამისი მითითება.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანის აღწერა მოცემულია ხელშეკრულების ძირითად პირობებში.

4. მომსახურების გაწევა/საქონლის მიწოდება

4.1 იმ შემთხვევაში, თუ „ხელშეკრულების ძირითად პირობებში“ არ არის ეს განსაზღვრული სხვაგვარად, კონკრეტული „მომსახურების“/„საქონლის“ მიღების მოთხოვნას RWC „კომპანიას“ უგზავნის წერილობითი ფორმით, მათ შორის ელექტრონული ფორმით (შემდგომში „დავალება“).

4.2 “კომპანია” ვალდებულია, რომ „მომსახურება“ გაწიოს/„საქონელი მიაწოდოს“ „დავალებაში“ მითითებულ ადგილას და ვადაში.

4.3 იმ შემთხვევაში, თუ „მომსახურების“ გაწევის დროს აღმოჩნდება, რომ „კომპანიას“ არ შეუძლია კონკრეტული „დავალების“ შეთანხმებულ ვადაში შესრულება, მაშინ “კომპანია” ვალდებულია, რომ დაუყოვნებლივ აცნობოს RWC-ის აღნიშნულის შესახებ და შეათანხმოს „დავალების“ შესრულების ახალი ვადა.

4.4 იმ შემთხვევაში, თუ „მხარეები“ ვერ შეთანხმდებიან „ხელშეკრულების“ შესრულების ახალ ვადაზე, მაშინ ეს ჩაითვლება „კომპანიის“ მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების დარღვევად (გარდა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა) და RWC უფლებამოსილი იქნება შეწყვიტოს ხელშეკრულება ან/და „კომპანიის“ მიმართ განახორციელოს „ხელშეკრულებით“ მისთვის მინიჭებული ნებისმიერი და ყველა უფლებამოსილება, როგორც ამას RWC მიიჩნეს მიზანშეწონილად.

4.5 „დავალება“ ჩაითვლება დასრულებულად მხოლოდ მას შემდეგ, რაც „მხარეთა“ შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

4.6 „მხარეები“ ვალდებული არიან, რომ მიღება-ჩაბარების აქტი გააფორმონ თითოეული „დავალებისთვის“.

5. „ნასყიდობის ფასი“ და ანგარიშსწორების პირობა

5.1 გაწეული „მომსახურების“ ან/და მიწოდებული „საქონლის“ „ნასყიდობის ფასი“ შეიცავს „კომპანიის'' ყველა ხარჯს და გადასახადს, დღგ-ს და ტრანსპორტირების ღირებულების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჩათვლით.

5.2 „მხარეთა“ შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, საქონლის მიწოდებიდან და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან/და სასაქონლო ზედნადების დადასტურებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა.

6. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

6.1 „კომპანია“ ვალდებულია, RWC-ს „მომსახურება“ გაუწიოს პირადად ან/და შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების/დაქირავებული პერსონალის საშუალებით.

6.2 „კომპანია“ ვალდებულია „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურება“ გაწიოს კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, სრულად, შეთანხმებულ დროსა და ადგილას, RWC ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

6.3 „კომპანია“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ „მომსახურების“ გაწევისას „მომსახურების“ გაწევაში ჩართულმა პირებმა მაქსიმალურად გამოიყენონ საკუთარი უნარ-ჩვევები, იმოქმედონ გულდასმით და დაიცვან უმაღლესი პროფესიული სტანდარტები.

6.4 „კომპანია“ ვალდებულია „მომსახურების“ გაწევისას გაითვალისწინოს/შეასრულოს RWC-ს მითითებები. “კომპანია” უფლებამოსილია, გადაუხვიოს RWC-ს მითითებებს მხოლოდ მისი წინასწარი თანხმობის საფუძველზე.

6.5 „კომპანია“ ვალდებულია, RWC-ს ზეპირი და/ან წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიაწოდოს მას მოთხოვნილი დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია, ცნობები წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესრულების მიმდინარეობის შესახებ, ხოლო „მომსახურების“ გაწევის დასრულების შემდეგ - ჩააბაროს მას ანგარიში.

6.6 „კომპანია“ პასუხისმგებელია „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის, „მომსახურების“ შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების, ასევე მისი ბრალეული ქმედების (ან უმოქმედობის) შედეგად RWC-სათვის მიყენებულ ზიანზე (ზარალზე).

6.7 RWC ვალდებულია დროულად და „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესის შესაბამისად გადაუხადოს „კომპანიას“ „ნასყიდობის ფასი“.

6.8 RWC ვალდებულია მიაწოდოს „კომპანიას“ ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც სჭირდება მას „მომსახურების“ გაწევისათვის.

6.9 იმ შემთხვევაში თუ „კომპანია“ დაარღვევს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ მის რომელიმე ვალდებულებას, RWC უფლებამოსილია ცალმხრივად, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეამციროს „კომპანიისთვის“ გადასახდელი „ნასყიდობის ფასის“ ოდენობა დარღვევის/მიყენებული ზიანის პროპორციულად. გადასახდელი „ნასყიდობის ფასის“ შესამცირებელ ოდენობას განსაზღვრავს RWC, რომლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, ჩაითვლება კვალიფიციურ ინფორმაციად ან/და დოკუმენტაციად და არ გახდება სადაო „კომპანიის“ მიერ;

7. „მომსახურების“ ხარისხი

7.1 მიწოდებული „საქონლისა“ და გაწეული „მომსახურების“ ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს „მომსახურების“ სფეროში დადგენილ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, „მხარეები“ პასუხს აგებენ წინამდებარე „ხელშეკრულების ზოგადი პირობებით“ და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2 „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მათ შორის შესრულების ვადის გადაცილებისათვის „RWC“ უფლებამოსილია დააკისროს „კომპანიას“ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე „ნასყიდობის ფასის“ 0.1%-ის ოდენობით ან/და თითოეული დარღვეული ვალდებულებისთვის 100 (ასი) ლარის ოდენობით.

8.3 „მხარეთა“ მიერ „ხელშეკრულების“ პირობების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მხარეებს“ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.4 წინამდებარე „ხელშეკრულების ზოგად პირობებზე“ ხელმოწერით „კომპანია“ აღიარებს და ეთანხმება, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამ „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის განმავლობაში „კომპანიას“ RWC-ის მიმართ გადასახდელი ექნება რაიმე სახის პირგასამტეხლო ან/და ჯარიმა ან/და ზიანის საკომპენსაციო თანხა, RWC უფლებამოსილია ასეთი პირგასამტეხლოს ან/და

ჯარიმის ან/და ზიანის საკომპენსაციო თანხა დაქვითოს ნებისმიერი მიმდინარე გადასახდელი ვალდებულებიდან, მიუხედავად იმისა, თუ რის საფუძველზე წარმოიშვა იგი.

9. „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადამდე შეწყვეტა

9.1 წინამდებარე „ხელშეკრულების“ შეწყვეტა მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე შესაძლებელია:

(ა) დაუყოვნებლივ, „კომპანიის“ მიერ, თუ RWC არსებითად დაარღვევს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ვალდებულებას და მიუხედავად დარღვევის გამოსწორების თაობაზე წერილობითი მოთხოვნის (შეტყობინების) მიღებისა, ამავე მოთხოვნაში (შეტყობინებაში) მითითებულ ვადაში, არ გამოასწორებს ამგვარ დარღვევას;

(ბ) დაუყოვნებლივ, RWC-s მიერ, თუ „კომპანია“ დაარღვევს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ მის რომელიმე ვალდებულებას ან პირობას და მიუხედავად დარღვევის გამოსწორების თაობაზე წერილობითი მოთხოვნის (შეტყობინების) მიღებისა, ამავე მოთხოვნაში (შეტყობინებაში) მითითებულ ვადაში, არ გამოასწორებს ამგვარ დარღვევას;

(გ) დაუყოვნებლივ, RWC-ს მიერ, თუ „კომპანია“ დაარღვევს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას;

(დ) ნებისმიერ დროს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე RWC-ს მიერ „კომპანიისათვის“ სულ მცირე 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით; ან

(ე) ნებისმიერ დროს, „მხარეთა“ ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით.

9.2 თუ „ხელშეკრულება“ „კომპანიამ“ მაშინ შეწყვიტა, როდესაც RWC მოკლებული იყო შესაძლებლობას, სხვაგვარად უზრუნველეყო თავისი ინტერესები, „კომპანიამ“ უნდა აუნაზღაუროს RWC-ს „ხელშეკრულების“ შეწყვეტით მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა „კომპანიას“ ამისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა და აღნიშნულის შესახებ ცნობილი იყო RWC-სათვის.

9.3 „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „ხელშეკრულების“ ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის (მოშლის) შემთხვევაში, RWC „კომპანიას“ აუნაზღაურებს მხოლოდ შეწყვეტის თარიღამდე ფაქტობრივად მიღებული მომსახურების ღირებულებას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „ხელშეკრულების“ შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს „კომპანიის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა), რაც დადასტურებული უნდა იყოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით. ამასთან RWC-ს მიერ „ხელშეკრულების“ მოშლის შედეგად მიყენებული ზიანი/ზარალი (იქნება ეს პირდაპირი თუ ირიბი, მატერიალური თუ არამატერიალური, ფაქტობრივი თუ მიუღებელი შემოსავალი და/ან სხვა) არ ანაზღაურდება და „კოპანია“ წინასწარ, გამოუთხოვადად და უპირობოდ უარს აცხადებს „ხელშეკრულების“ მოშლის შედეგად მიყენებული ზიანის/ზარალის (იქნება ეს პირდაპირი თუ ირიბი, მატერიალური თუ არამატერიალური, ფაქტობრივი თუ მიუღებელი შემოსავალი და/ან სხვა), ამგვარის არსებობის შემთხვევაში, ანაზღაურების მოთხოვნაზე.

9.4 წინამდებარე „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის დასრულების ან ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში „კომპანია“ ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუბრუნოს RWC-ს ყველა ფაილი, მასალა, დოკუმენტი, მონაცემი, ანგარიში, ჩანაწერი და/ან ნებისმიერი სხვა ქონება, რომელიც გადაცემული ქონდა „კომპანიას“ RWC-სგან ან რომელიც შეძენილი და/ან შექმნილი იქნა RWC-სათვის წინამდებარე „ხელშეკრულების“ ფარგლებში.

10. ფორს-მაჟორი

10.1 „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არადროული შესრულებისათვის, თუ აღნიშნული გამოწვეული იქნება ფორსმაჟორული ვითარებით.

10.2 „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის ფორსმაჟორული ვითარება, შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: ომს, ამბოხებას, სამოქალაქო არეულობას, მიწისძვრას, ხანძარს, აფეთქებას, ქარიშხალს, წყალდიდობას ან სხვა სტიქიურ უბედურებებს, ასევე სახელმწიფო დაწესებულებების სხვა ქმედებასა და უმოქმედობას, რომელიც „მხარეთა“ გონივრული კონტროლის ფარგლებს სცილდება და რომლის დადგომაც „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის.

10.3 „მხარე“, რომელსაც ფორსმაჟორული ვითარება შეეხო, უმოკლეს ვადაში, მაგრამ ამგვარი გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა, ვალდებულია, შეატყობინოს მეორე „მხარეს“ ამგვარი ფორსმაჟორული ვითარების თაობაზე, ფორსმაჟორული ვითარების ხასიათის და მისი შედეგების სათანადო აღწერით.

10.4 ფორსმაჟორული ვითარების დადგომის შემთხვევაში, „მხარეთა“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიწევს ამგვარი ფორსმაჟორული ვითარების დამთავრებამდე/აღმოფხვრამდე.

10.5 იმ შემთხვევაში, თუ ფორსმაჟორული ვითარება გასტანს ზედიზედ 45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს, თითოეულ „მხარეს“ უფლება აქვს მეორე „მხარისათვის“ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე.

11. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაჭრა

11.1 „ხელშეკრულება“ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და განიმარტება მის შესაბამისად.

11.2 „მხარეთა“ შორის „ხელშეკრულების“ ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ „მხარეები“ ვერ შეძლებენ შეთანხმების მიღწევას, დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს შესაბამისი განსჯადობის სასამართლოს.

12. დასკვნითი დებულებები

12.1 „ხელშეკრულების“ ნებისმიერი ცვლილება/დამატება ძალაშია მხოლოდ „მხარეთა“ მიერ შესაბამისი წერილობითი შეთანხმებით გაფორმების შემდეგ.

12.2 „ხელშეკრულების“ რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მისი სხვა დებულებ(ებ)ის ან/და მთლიანად „ხელშეკრულების“ ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება ისეთი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა „ხელშეკრულებით“ (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

12.3 „მხარეები“ ადასტურებენ, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ „ხელშეკრულების“ შინაარსი, იგი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ თავისუფალ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა „ხელშეკრულების“ შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად.

12.4 წინამდებარე „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „მხარეები“ აღიარებენ და ადასტურებენ, რომ მათ მიღებული აქვთ ყველა თანხმობა და დასტური, რომელიც შესაძლოა აუცილებელი იყოს ამ „ხელშეკრულების“ გაფორმებისთვის მათი შიდა კორპორატიული დოკუმენტებით ან/და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

12.5 წინამდებარე „ხელშეკრულების ზოგადი პირობები“ გაფორმებულია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება „RWC“-სთან, ხოლო მეორე - „კომპანიასთან“.

მხარეთა ხელმოწერები:

RWC_____

„კომპანია“ _____